განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„საზოგადოებასთან ურთიერთობა“
ბაკალავრიატი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 05 ნოემბერი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი - 17 დეკემბერი 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**211349192**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**საზოგადოებასთან ურთიერთობები** Public Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი** / Bachelor of Public Relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მარკეტინგი და რეკლამა / Marketing and Advertising, 0414
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №542

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატო ასათიანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი ნოდია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებასთან ურთიერთობები“ (შემდგომში - პროგრამა) მიეკუთვნება სფეროს, რომელშიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება და ტრადიცია - 1995 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) შემუშავდა საზოგადოებასთან ურთიერთობების პირველი საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში.

2012 წლის 29 სექტემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №542 პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. მომდევნო პერიოდში პროგრამაში ეტაპობრივად (2012, 2016, 2018, 2021 წლებში) განხორციელდა რიგი ტექნიკური, სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილება, მათ შორის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების, პროგრამის შინაარსის სრულყოფის, შრომის ბაზრის ტენდენციების გაზიარების მიზნით და სხვ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის საფუძველზე მოდიფიცირდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და განისაზღვრა პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

აკრედიტაციის მიღების მიზნით წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი) საფუძველზე. მისი ძირითადი მასხიათებლებია:

- სწავლების ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი);
- პროგრამის მოცულობა: 240 ECTS-ის კრედიტი. ერთი კრედიტი უდრის 25 სთ-ს. თითოეულ სემესტრში სტუდენტის დატვირთვა შეადგენს 30 კრედიტს;
- პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები: პროგრამის სტრუქტურა აერთიანებს თავისუფალ და სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტებს. ორივე კომპონენტი მოიცავს არჩევით და სავალდებულო ნაწილს. სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტში მოიაზრება სასწავლო კურსები, საბაკალავრო პრაქტიკა (სავალდებულო) და საბაკალავრო ნაშრომი (სავალდებულო).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებასთან ურთიერთობები“ (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 5 21 0001129392, 22/10/2021, ცვლილებები - MES 6 21 0001158210, 29/10/2021) საფუძველზე, მიმდინარე წლის 05 ნოემბერს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

აკრედიტაციის ვიზიტის (შემდგომში - ვიზიტი) დაწყებამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, რომელზეც ჯგუფის წევრებმა დამატებით განიხილეს მათთვის მიწოდებული ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის („საზოგადოებასთან ურთიერთობების ბაკალავრი“) მართებულობის და პროგრა-

მის თვითშეფასების ანგარიშში მითითებული დეტალური სფეროს კოდის და დასახელების ურთიერთშესაბამისობის შესახებ - პირველ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა მოქმედ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორში“ არსებულ ჩანაწერზე (მუხლი 4. კვალიფიკაციების დასახელებები): „0414 დეტალური სფეროს მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის ... შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელებების ფორმულირებები: ა) ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით/ Bachelor – Field of study ან ბ) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით/ Bachelor of Arts (BA) – Field of study ან გ) მეცნიერების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით/Bachelor of Science (BSc) – Field of studies) და შეთანხმდა იმაზე, რომ აუცილებელია ვიზიტის დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და პროგრამის ხელმძღვანელთან) დაზუსტდეს რა მიზეზით და რის საფუძველზე მიღებულ იქნა ამ კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილება; მეორე საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 2) მითითებული „დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - საზოგადოებასთან ურთიერთობა, 0414“, უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“, რომლის თანახმად იმავე კოდის (0414) დეტალური სფეროს დასახელება არის „მარკეტინგი და რეკლამა“. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეაჯამა შეხვედრის შედეგები და გადაანაწილა ჯგუფის წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის (დღის წესრიგის) მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით, დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის დაწყებისთანავე, პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვა - რის საფუძველზე გადაწყდა ბაკალავრის ხარისხის მინიჭება სფეროში, რომელიც მაგისტრატურის საფეხურისთვის არის განკუთვნილი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა) განმარტა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრისას იხელმძღვანელეს მოქმედი „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ (შემდგომში - კლასიფიკატორი) და იმ შესაძლებლობით, რომელიც არსებობს ამ კლასიფიკატორის ფარგლებში. კერძოდ, იხელმძღვანელეს კლასიფიკატორში (მ. 4. კვალიფიკაციების დასახელებები, პ. 11) არსებული ჩანაწერით (სპეციალური დათქმით): „2. 0414 დეტალური სფეროს მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის, ორგანიზაციის განვითარების შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელებების ფორმულირებები: ა) *ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით*“. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ გაიარეს სხვადასხვა (მათ შორის, იურიდიული) კონსულტაციები და იურიდიული თვალსაზრისით მათი გადაწყვეტილება პროგრამის კურსდამთავრებულთათვის „საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრის“ ხარისხის მინიჭების თაობაზე სამართლებრივი თავალსაზრისით მართებულია და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ვიზიტი გაგრძელდა და წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად,

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები; ვიზიტის განმავლობაში ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები). ვიზიტის მსვლელობისას, ჩატარდა შეხვედრები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებთან, ექსპერტთა ჯგუფმა დააზუსტა შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები და დისტანციურად, შერჩევითობის პრინციპით, შეამოწმა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის არსებობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. იყო უზრუნველყოფილი ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯმა დოკუმენტების შესწავლის და ვიზიტის შედეგები, რის შემდეგ ჯგუფის თავჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო წინასწარი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - <u>სტანდარტი 1</u> - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (1.1 და 1.2. კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

  - <u>სტანდარტი 2</u> - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთ-ხოვნებთან</u> (2.1, 2.2, 2.4 და 2.5 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.3 და 2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

  - <u>სტანდარტი 3</u> - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (კომპონენტი 3.1. შეფასდა როგორც შესა-ბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო კომპონენტი 3.2 არ შეფასდა, რადგან აკრედიტაციაზე წარდ-გენილი პროგრამა არის ბაკალავრიატის საფეხურის).

  - <u>სტანდარტი 4</u> - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა რო-გორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბა-მისობაშია მოთხოვნებთან).

  - <u>სტანდარტი 5</u> - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (5.1 და 5.2. კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.3 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამი-სობაშია მოთხოვნებთან).

- **რეკომენდაციები**

1. აუცილებელია სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო მატერია-ლური და/ან ელექტრონული ფორმით იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტე-რატურა შეივსოს უახლესი გამოცემებით/სახელმძღვანელოებით.
2. აუცილებელია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები შერჩეულ იქნეს ყველა სასწავლო კურსისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების სპეციფიკის შესაბამისად.
3. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ჩატარებული დადარების შედეგებით უნდა დგინდებოდეს რა და რატომ იყო ან არ იყო გაზიარებული პროგრამის მიზნების-თვის და რა გავლენა მოახდინა მიღებულმა შედეგებმა პროგრამის განვითარება-სრულყოფაზე.
4. უნივერსიტეტში დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგები უნ-და იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, რომლის მეშვეობით იქნება შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღ-წეული პროგრესიის დადგენა და სხვ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, პროგრამის მიზნებს დაემატოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის და შედეგების ანალიზის და ზოგადად, კვლევების სხვადასხვა მიზნით გამოყენების შესაძლებლობა.
2. სწავლის შედეგებზე შეუფერხებლად გასვლისთვის, სასურველია, რიგ შემთხვევებში განახლდეს და გადაიხედოს სავალდებულო სახელმძღვანელოების ნუსხა.
3. სასურველია, პროგრამაში დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტს შეასწავლის სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, აკადემიურ წიგნიერებას, აკადემიური წერის ელემენტებს და სხვ.;
4. სასურველია, ინგლისური ენის სწავლების გაღრმავება და არა არჩევითად, არამედ სავალდებულოდ შესწავლა.
5. სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის განმახორციელებლების ჩამონათვალი;
6. სასურველია, დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და დაემატოს რეცენზირება.
7. სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტიმულირების მექანიზმების შემუშავება.
8. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტი დეტალურად და მკაფიოდ ასახავდეს კონკრეტულ აქტივობებს, ხოლო დეფიციტურობისას - მისი აღმოფხვრის რელევატურ ღონისძიებებს.
9. სასურველია, რომ საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციებისა და უსდ-ს, ასევე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით მიერ პრორამის გარე შეფასება განხორციელდეს გარკვეული პერიოდულობით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობის შენარჩუნებას და განვითარებას.
10. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება გამოკითხვის მიზნებისა და პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  -

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  -

ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფმა, დეტალური განხილვის შედეგად, არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მოყვანილი მოსაზრებები და უცვლელად დატოვა დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაციები, ასევე შესაბამისი სტანდარტების და სტანდარტთა კომპონენტების შეფასებები.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის დასაბუთება მოცემულია შესაბამისი სტანდარტების კომპონენტების რუბრიკაში „სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი“ (იხ. წინამდებარე დასკვნის გვ. 13 - რეკომენდაცია #1; გვ. 16 - რეკომენდაცია #2; გვ. 29-30 - რეკომენდაციები #3-#4).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებასთან ურთიერთობები“ (შემდგომში - პროგრამა) მიზნები ცხადად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია თანამედროვე ცოდნის მიღებასა და მის გამოყენებაზე. პროგრამის აღწერაში მითითებულია, რომ პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს მომხმარებლის ქცევისა და მოთხოვნილებების თავისებურებები და ის ტექნოლოგიები, რაც ორგანიზაციებსა და ინდივიდებს შორის ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამასთან, პროგრამის კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენს გამოუმუშავდეს სტუდენტს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში არსებული ამოცანების, ეფექტური კომუნიკაციის, პრობლემების გადაჭრის და დამოუკიდებლად სამუშაოს შესრულებისთვის აუცილებელი კომპეტენციები. ეს რომ პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებითაც, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი გააზრებული და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში (მოდიფიცირებაში) და განხორციელებაში ჩართული ყველა სუბიექტის მიერ.

პროგრამის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს სტუდენტებში შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი კომპეტენციების გამომუშავება, რაც, ასევე, დადასტურდა პროგრამის კურიკულუმის, პროგრამის კომპონენტების სილაბუსების, პროგრამის თვითშეფასების თანდართული სხვა დოკუმენტების გაცნობით. ამასთან, პროგრამა ისახავს მიზნად, აღზარდოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მყარი წინაპირობა და, შესაბამისად, ექნება კვლევის დაგეგმის, განხორციელების და შედეგების ინტერპრეტირების უნარი. აქედან გამომდინარე, სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს კვლევის კომპონენტი და, შესაბამისად, პროგრამის კიდევ ერთ მიზნად განისაზღვროს საზოგადოებრივი აზრის კვლევის და შედეგების ანალიზის უნარი. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა პროგრამის მიზნებს კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის.

პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, დარგის თანამედროვე მოთხოვნებს და საჭიროებებს, არის რეალისტური და მიღწევადი და ნათლად ასახავს, თუ რა კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულებს ამზადებს პროგრამა და როგორია მათი შემდგომი დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების პერსპექტივები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია. უნივერსიტეტის ვებგვერდი;
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
3. ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებმა.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია, პროგრამის მიზნებს დაემატოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის და შედეგების ანალიზის და ზოგადად, კვლევების სხვადასხვა მიზნით გამოყენების შესაძლებლობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): –
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური და გაზომვადია და ნათლად გვიჩვენებს, თუ რას ემსახურება პროგრამა. პროგრამა, სწავლის შედეგების გააზრების საფუძველზე, ცალსახად უწყობს ხელს კონკურენტუნარიანი კადრის გაზრდას, რომელიც დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით იქნება აღჭურვილი. კერძოდ, პროგრამა სტუდენტს აძლევს დარგობრივ ცოდნას საზოგადოებასთან ურთიერთობის / სტრატეგიული კომუნიკაციის ძირითადი პრინციპებისა და პროცესების, PR სტრატეგიისა და ტაქტიკის, კვლევის, დაგემვისა და მართვის პროცესების შესახებ. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს განსაზღვროს კომუნიკაციის მიზნები, ამოცანები და განვითარების შესაძლებლობები. პროგრამის უპირატესობას წარმოადგენს, რომ კურსდამთავრებულს შეეძლება განსაზღვროს არა მხოლოდ დარგის მახასიათებლები, არამედ ისეთი მომიჯნავე დისციპლინების ძირითადი თავისებურებები, როგორებიცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ფილოსოფია. ამასთან, პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს თეორიულ ცოდნასთან ერთად ექნება უნარი განასხვაოს PR ღონისძიებების ფორმები და ტიპოლოგიური თავისებურებები, გაანალიზოს პიარ კამპანიებისა და სარეკლამო კამპანიების დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებები, დაგეგმოს აქციები, კამპანიები, ღონისძიებები და სხვადასხვა სეფროში საჭირო ეფექტიანი საკომუნიკაციო საქმიანობა. პარალელურად, პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეეძლება მაღალ პროფესიულ დონეზე მოამზადოს პრეზენტაციები და ზეპირი გამოსვლები მნიშვნელოვან პროფესიულ საკითხებზე და გამოიყენოს აუდიტორიასთან სათანადო კონტაქტის დამყარებისა და ზემოქმედების ტექნოლოგიები თუ გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე სტრატეგიები. ყველა ზემოთ აღნიშნული შედეგის მიღწევა რომ შესაძლებელია, დასტურდება პროგრამის კომპონენტების შესაბამისი სილაბუსების გაანალიზებით, რომლებიც ემსახურება პროგრამის მიერ დასახულ სწავლის შედეგებს. თუმცა, რიგ შემთხვევაში, სასურველია განხორციელდეს სილაბუსებში შეტანილი სავალდებულო ლიტერატურის განახლება და გადახალისება. ამ შემთხვევაში პროგრამა უფრო სრულყოფილად გავა დასახულ სწავლის შედეგებზე.

პროგრამის და დაგეგმილი შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები (მაგ., დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები, სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების შესწავლა და ა.შ.) პროგრამის შედეგების მიღწების შეფასების მექანიზმად გამოიყენება პროგრამის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და მათთან მიღწეული შედეგების დადარება - დადგნილთან შედარებით მეტობით ან ნაკლებობით სხვაობა წარმოადგენს შესწავლის საგანს და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელების საფუძველს. ასევე, ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ პროგრამის მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში სხვადასხვა ფორმით (გამო-

კითხვები, სამუშაო შეხვედრები, რეკომენდაციების შეთავაზება, პროგრამის განხილვა-შეფასება და ა.შ.) იყვნენ ჩართულნი პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ასევე, ინტერვიუდან დადგინდა, რომ ამ პროცესში გათვალისწინებული იყო სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დოკუმენტებით ასევე დასტურდება, რომ პროგრამის შეფასება განახორციელა უცხოელმა ექსპერტმა, რომლის რეკომენდაციებიც გათვალისწინებული იქნა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; 2. პროგრამის სწავლის შედეგების რუქა; 3. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; 4. „ანალიზის დოკუმენტი, ბაკალავრიატი“; 5. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი; 6. უცხოელი ექსპერტის პროგრამაზე გამოხმაურება; 7. ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. სწავლის შედეგებზე შეუფერხებლად გასვლისთვის, სასურველია, რიგ შემთხვევებში განახლდეს და გადაიხედოს სავალდებულო სახელმძღვანელოების ნუსხა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. ასევე, პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს. პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია შიდა მობილობით, რომლის პროცედურა განისაზღვრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესით. ინფორმაცია პროგრამის და პროგრამაზე მიღების პროცედურების შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის (განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
2. უნივერსიტეტის კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია;
3. ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;
4. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ოფიციალური ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

–

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი ბაკალავრიატის საფეხურის შედეგებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერსის სისტემით (ECTS). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. ერთი კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელშიც მოიაზრება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათები. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა მოიცავს თავისუფალ და სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტებს. ორივე კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ნაწილისაგან, უზრუნველყოფილია არჩევანის შესაძლებლობა. პროგრამა მოიცავს 37 სავალდებულო და 13 არჩევით სასწავლო კურსს, მათ შორის, 3 ინგლისურენოვან სასწავლო კურსს, უცხოური ენის სასწავლო კურსებს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), საწარმოო პრაქტიკას, საბაკალავრო ნაშრომსა და 7 თავისუფალი კომპონენტის სასწვლო კურსს. როგორც პროგრამის სასწავლო გეგმაშია მითითებული, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი პროგრამის კომპონენტები შეადგენს 219 კრედიტს, ხოლო თავისუფალი კომპონენტები - 21 კრედიტს.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს და საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს თავისებურებებს. ვინაიდან პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურისაა, სასურველი იქნებოდა პროგრამა გამდიდრებულიყო საბაკალავრო საფეხურის იმგვარი სასწავლო კურსებით, რომლებიც სტუდენტს შეასწავლიდა სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, აკადემიურ წიგნიერებას, აკადემიური წერის ელემენტებს და სხვა საბაზისო კურსებს, რომლებიც დაეხმარება სტუდენტს პროგრამის დაძლევისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის. ასევე, მნიშვნელოვნად გვესახება ინგლისური ენის სწავლების გაღრმავება და სავალდებულოდ შესწავლა, რაც განპირობებული როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნებით, ისე იმ გარემებით, რომ დარგობრივი ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა საკმაოდ მწირია და სტუდენტებს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებლად მოუწევთ ინგლისურენოვანი ლიტერატურის ათვისება.

ვიზიტისას, გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ უნივერსიტეტის წესების მიხედვით პროგრამა ყოველ წელს გადის შეფასების პროცესს და განახლების საჭიროებების დადგენას/ცვლილებების განხორციელებას პროგრამის აქტუალობისა და დარგის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით. პროგრამის განახლების (მოდიფიცირების) პროცესში ჩართული იყო როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თანდართული დაინტერესებულ მხარეთა კვლევები, რომლებიც პროგრამის განახლებამდე ჩატარდა და რომელსაც, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, დაეყრდნო უნივერსიტეტი პროგრამის განახლებისას, ნაკლებად საკმარისია, რადგან გამოკითხულია მხოლოდ 6 დამსაქმებელი, რაც დარგის დასაქმების ბაზრის მასშტაბებიდან გამომდინარე, სრულიად არასაკმარისია. ასევე, არ არის საკმარისი 27 სტუდენტის გამოკითხვაზე დაფუძნებული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა (ამჟამად პროგრამაზე 200-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი, სასწავლო გეგმა), პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
2. დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;

3. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდი;
4. ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია, პროგრამაში დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტს შეასწავლის სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, აკადემიურ წიგნიერებას, აკადემიური წერის ელემენტებს და სხვ.;
2. სასურველია, ინგლისური ენის სწავლების გაღრმავება და არა არჩევითად, არამედ სავალდებულოდ შესწავლა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს. პროგრამის სწავლის ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქის სახით. პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნებაა. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია შეესაბამება კურსის სირთულესა და მისაღწევ შედეგებს. ინტერსიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებლებთან ისაუბრეს სწავლების პროცესზე, პროგრამის კომპონენტების თავისებურებებზე, მათ მნიშვნელობაზე პროგრამისათვის.

წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლისას, დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი, მაგ., „პროექტის მართვის“ სილაბუსის ნაცვლად მოწოდებული იყო „ზეპირი და წერითი კომუნიკაციის მეთოდები“ კურსის სილაბუსი, ხოლო „ინგლისური ენა B1.1.”-ის ნაცვლად „PR საფუძვლები“. ეს ხარვეზები ტექნიკური ხასიათისაა და მარტივად გამოსწორებადი. ასევე, აღსანიშნავია რამდენიმე გარემოება, მაგალითად: სასწავლო კურსების სილაბუსების უმეტესობაში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა შემოიფარგლება მხოლოდ ერთი სახელმძღვანელოთი; რამდენიმე სავალდებულო სახელმძღვანელო ვერ იქნა მოძიებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებლით, რაც თავისთავად პრობლემატურია და უნივერსიტეტის მხრიდან რეაგირებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გვესახება, როგორც პროგრამის გამდიდრება უახლესი ლიტერატურით, ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის აღჭურვა სილაბუსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურით.

ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ

<u>დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია:</u> „აუცილებელია სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეივსოს უახლესი გამოცემებით/სახელმძღვანელოებით".

ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ ბიბლიოთეკის ფონდში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა შემოწმდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, რა დროსაც რამდენიმე სავალდებულო სახელმძღვანელო ვერ იქნა მოძიებული დაწესებულების ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებლით. ასევე, ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია პროგრამის გამდიდრება უახლესი ლიტერატურით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების პოზიცია გაზიარებული არ არის და რეკომენდაცია დარჩა უცვლელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
2. პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
3. ვიზიტის დროს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერება;
4. ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან.

რეკომენდაციები:

1. აუცილებელია სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეივსოს უახლესი გამოცემებით/სახელმძღვანელოებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება. პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსი ემსახურება პრაქტიკული უნარების განვითარებას პრაქტიკული ქეისების შესწავლისა და განხილვის გზით. ასევე, პროგრამით გათვალისწინებულია პრაქტიკა იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ მათ ეს პრაქტიკა არ გაუვლიათ. იგივე დაადასტურეს დამსაქმებლებმაც და აღნიშნეს, რომ ჯერ-ჯერობით ამ პროგრამის სტუდენტები პრაქტიკაზე არ ჰყოლიათ, თუმცა მომავლისთვის დაგეგმილია პრაქტიკაზე რამდენიმე სტუდენტის მიღება. პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი დახვეწას მოითხოვს, რათა კურს-

დამთავრებულებმა უკეთ შეძლონ პროგრამის შესწავლის პროცესში მიღებული პრაქტიკული უნარების დახვეწა და დასაქმების ბაზრის უკეთ გაცნობა. ასევე, დასახვეწია და მრავალფეროვანებას მოითხოვს პრაქტიკის განმახორიცელებელთა სია: დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ყველა კერძო, თუ სახელმწიფო ორგანიზაციას აქვს. შესაბამისად, მართებულად გვეჩვენება სტუდენტებისთვის ორგანიზაციების ფართო სპექტრის შეთავაზება, რათა მათ თავიანთი ინტერესების შესაბამისად აარჩიონ ის სფერო და ორგანიზაცია, სადაც სურთ პრაქტიკის გავლა. მაგალითად, თუ სტუდენტს აინტერესებს საზოგადოებასთან ურთიერთობა კულტურის სფეროში - კარგი იქნება, რომ შევთავაზოთ რამდენიმე თეატრი, კინოინდუსტრია, მუზეუმი; თუ სტუდენტს აინტერესებს ბიზნესის სფერო - კარგი იქნება, შევთავაზოთ ბანკებსა და კომპანიების PR განყოფილებებში პრაქტიკის გავლა და ა.შ. პროგრამის დამამთავრებელ წელს სტუდენტები ასრულებენ საბალალავრო ნაშრომს. ეს არის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი (სავალდებულო) კომპონენტი, რომელიც საჭირო კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი არ განმარტავს, როგორ არჩევს სტუდენტი ხელმძღვანელს და იმ თემას, რომელზეც სურს მუშაობა. აგრეთვე ბუნდოვანია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა. სილაბუსის თანახმად, საბაკალვრო ნაშრომი ფასდება როგორც შუალედური შეფასებებით (ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ), ასევე ფინალური შეფასებით, რა დროსაც სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ნაშრომის შესახებ პრეზენტაცია, რომელიც ფასდება კომისიის მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის შეფასება არ მოიცავს რეცენზირების პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს ჩატარებული კვლევის მრავალმხრივ შეფასებას. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. საბაკალავრი საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები, მათ შორის პრაქტიკის და საბაკალავრი ნაშრომის სილაბუსები; 2. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი; 3. პრაქტიკის ჩატარების და შეფასების წესი; 4. თვითშეფასების ანგარიში; 5. პრაქტიკის ხელშეკრულებები/მემორანდუმები; 6. ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის განმახორციელებლების ჩამონათვალი; 2. სასურველია, დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და დაემატოს რეცენზირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები, მაგალითად, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებულის წავლება (PBL), ევრისტიკული მეთოდი, შემთხვევების შესწავლა და ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), როლური და სიტუაციური თამაშები, ინდივიდუალური მუშაობა და სხვა.

სწავლების მეთოდები შეირჩევა პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლის (სილაბუსის ავტორის) მიერ შეესაბამება შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და პროგრამის კომპონენტების სპეციფიკას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტის შესწავლას და სწავლის შედეგების (დარგობრივი და/ან ტრანსფერული კომპეტენციების) მიღწევას როგორც პროგრამის კომპონენტის, ისე მთლიანად პროგრამის დონეზე. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები ასახულია პროგრამის შესაბამის კომპონენტების სილაბუსებში, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
2. სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
3. ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

–

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებული სტუდენტის შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასებისას გამოიყენება 100 ქულიანი შეფასების სისტემა (დადებითი შეფასებებია: (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E)-საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა; უარყოფითი შეფასებებია: (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამა-

ტებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი). შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას; 3) შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური და დასკვნითი ფორმისთვის დადგენილია შეფასების ხვედრითი წილი (მაქსიმალური შესაძლო ქულა) და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ხვედრითი წილი). ინ-ფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ ასახულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში, სადაც ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და შეფასების ქულათა რანჟირება. ამასთანავე უნ-და აღინიშნოს, რომ ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულია ერთიდაიგივე შეფასების კრი-ტერიუმებს, რაც პრობლემურად გვესახება სასწავლო კურსების განსხვავებული ფორმატიდან და სპეცი-ფიკიდან გამომდინარე, მაგალითად, შეუძლებელია სასწავლო კურსებში „ინგლისური ენა B1.2." და "სა-ზოგადოებასთან ურთიერთობა" ან/და „სოციალური ფსიქოლოგია" გამოიყენებდეს ერთნაირი შეფასების მეთოდები. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების დიფერენცირება და სასწავლო კურსის სპეციფიკაზე და სწავლის შედეგებზე მორგება.

სტუდენტის შეფასება დადგენილი პროცედურების შესაბამისად ხორციელდება. სტუდენტებს შე-უძლიათ ელექტრონული მართვის სისტემის დახმარებით თავიდანვე გაეცნონ კურსების სილაბუსებს და თითოეული მათგანის შეფასების ძირითად კომპონენტებსა და კრიტერიუმებს, ასევე სილაბუსი და შეფა-სების სისტემა ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში სასწავლო კურსის განმახორციე-ლებლის მიერ. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ფლობს სათანადო ინფორმა-ციას ცოდნის შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რაც, ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შე-დეგების შესახებ. ელექტრონულ უწყისს აქვს შეტყობინების ფუნქციაც, რომლის გამოყენებითაც სტუ-დენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის განმახორციელებელთან უშუალოდ დაამყაროს კავშირი და მიიღოს რჩევები დაშვებული ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ.

გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციე-ლებელი პერსონალისთვის ცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდები. პროგრამის განმახორციელე-ბელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს წინასწარ აცნობენ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითი-თებული შეფასების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და რუბრიკებს, აღნიშნულ საკითხზე დამატე-ბით ინფორმაციას სტუდენტები ღებულობენ სილაბუსების მეშვეობით.

უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების გასაჩივრების მექანიზმი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას სურვილის შემთხვევაში, გაასაჩივრის მიღებული ქულა და მოითხოვოს ნაშრომის კიდევ ერთხელ გასწო-რება/შეფასების გადახედვა, რაც დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვის დროს. ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან იღებენ უკუკავშირს.

ფაკულტეტის დეკანმა და ხერისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასევე პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კო-მისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პერიოდულად ახორციელებს სასწავლო კურსე-ბის სწავლის შედეგების ანალიზსდა შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ

<u>დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია:</u> „აუცილებელია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები შერჩეულ იქნეს ყველა სასწავლო კურსისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების სპეციფიკის შესაბამისად".

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნდა შეირჩეს ისეთი შეფასების მეთოდები, რომლებიც რელევანტუ-რია სასწავლო კურსის დაგეგმილი შედეგებისა და უზრუნველყოფს მათი დადასტურების (მიღწევის დო-ნის შეფასების) შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულე-ბის პოზიცია გაზიარებული არ არის და რეკომენდაცია დარჩა უცვლელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა; 3. უნივერსიტეტის ვებგვერდი; 4. ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: 1. აუცილებელია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები შერჩეულ იქნეს ყველა სასწავლო კურსისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების სპეციფიკის შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება, ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი. სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

შესაბამისი სამსახურები და პროგრამის განხორციელებაში და მხარდაჭერაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე, ასევე სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალურად შეათანხმოს საკონსულტაციო საათები ლექტორებთან, უსდ-ში დაინერგა ახალი ელექტრონული ბაზა vici.gtu.ge, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. სტუდენტთა დამოკიდებულებების და მოსაზრებების შესწავლის მიზნით ფაკულტეტი ატარებს სტუდენტთა გამოკითხვებს, რომელიც მიმართულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ და აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის შესაძლებლობას, რაც დადასტურეული იქნა სტუდენტების მიერ. ასევე, სტუდენტებს აქვთ საშუალება შეხვდნენ დამსაქმებელს და უშუალოდ მიიღონ იფორმაცია ვაკანსიების შესახებ. შედეგად, სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა კომპანიების საქმიანობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. სტუდენტთა გამოკითხვები; 2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა; 3. ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან; 4. უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი -
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ მყარ გარანტიას წარმოადგენს იმ პირების კვალიფიკაცია, რომელთა ჩართულობითაც ხორციელდება აღნიშნული პროგრამა. პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს, სწორედ მისი განმახორციელებელი პერსონალი წარმოადგენს, რომელიც გამოირჩევა დარგის აქტუალური აკადემიური ცოდნით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 29 პირი, რომელთა დიდი ნაწილი (15) პროფესორები და ასოცირებული პროფესორია, დიდი ნაწილი აფილირებულია უნივერსიტეტთან, რაც პროგრამას მნიშვნელოვნად აძლიერებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ამავე პროგრამის კურსდამთავრებულები არიან, რაც პროგრამის განმახორციელებელთა თაობების უწყვეტობის საფუძვლად და დადებით მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ყოველივე აღნიშნული ქმნის პროგრამის მდგრადობის საფუძ-

ველს.

პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებსაც გააჩნიათ როგორც დარგის სიღრმისეული ცოდნა, ასევე, მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული პროგრამის შემუშავებაში, ადამიანური რესურსის განსაზღვრაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად თანამშრომლობს არა მხოლოდ დაწესებულების შესაბამის რგოლებთან, არამედ პოტენციურ დამსაქმებლებთან და სწორედ მათთან თანამშრომლობით დაიხვეწა აღნიშნული პროგრამა. დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა ეს ცხადად დაადასტურა.

უდავოდ აღსანიშნავია, რომ პროფესორ-მასწავლებლების უმეტესობას აქვს დოქტორის ხარისხი და აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში (უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით, ასევე, გავეცანით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ნაშრომების ციტირების ინდექსს). როგორც წესი, მსგავსი პროგრამები განიცდიან სფეროს დოქტორთა სიმციცრეს, რა თვალსაზირისითაც, აღნიშნული პროგრამა უდაოდ იმყოფება უპირატეს მდგომარეობაში.

გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესში. პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელშეწყობით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას და პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
2. პროგრამის განმახორციელებელთა სია;
3. აკადემიური, მოწვეული პერსონალის CV;
4. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
5. სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია;
6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები;
7. ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობა წარმოადგენს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიის ნაწილს, რომლის თანახმად მათ ეძლევათ საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა. უნივერსიტეტი ატარებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევას. აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასებას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეფასება - იმის დადგენა, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში. შეფასების შედეგები დადგენილი ფორმით გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია საგრანტო კონკურსებისა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, ასევე ინტერვიუდან ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი ჩართულია კვლევით საქმიანობაში, აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, რაზეც მეტყველებს ის მრავალფეროვანი სამეცნიერო სტატიები, რომლებიც სწორედ პროგრამაში ჩართული პროფესორების ავტორობითა და თანაავტორობით ბოლო 5 წლის განმავლობაშია გამოქვეყნებული, სტატიების უმეტესობა გამოქვეყნებულია ავტორიტეტული ინდექსაციის მქონე სამეცნიერო გამოცემებში. ამავდროულად, სასურველი იქნება უნივერსიტეტში დამატებითი ტრენინგები თუ მამოტივირებელი მექანიზმები არსებობდეს არა მხოლოდ ადგილობრივ, მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების სტიმულირებისთვის, არამედ საერთაშორისო ისეთ ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშეწყობისთვის, რომლებიც ინდექსირებულნი არიან Scopus-ის, Web of Science-ის და ERIH PLUS-ის ბაზებში.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული განვითრების ცენტრი, სადაც პროგრამაში ჩართული პერსონალი გადის ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სწავლა-სწავლებისა და სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიებში და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამის განმახორციელებელთა სია;
2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;
3. პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებლები;
4. უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
5. უნივერსიტეტის ვებგვერდი;
6. ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტიმულირების მექანიზმების შემუშავება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

–

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მატერიური-ტექნიკური ბაზა (აუდიტორიები, სასწავლო ინვენტარი, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და სხვ.) რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განთავსებულია სახელმძღვანელოები, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკა, ასევე, უზრუნველყოფილია ელექტრონული სამეცნიერო ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლიტერატურის მოძიება. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე-სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect დაScopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing–journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review. უნივერსიტეტი, აგრეთვე, მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს გაწევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნვეყოფას. კონსორციმში მონაწილეობით სტუ-ის მიეცა შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
2. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა http://gtu.ge/Library;
3. საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA";
4. სამეცნიერო მონაცემთა ბაზები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ბიუჯეტი უნივერსიტეტის ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილია, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების წყაროს წარმოადგენს სწავლის საფასური. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს ექსპერტებს განემარტათ, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის შემცირების შემთხვევაში პროგრამის მდგრადობას საქრთხე არ შეექმნება - საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნება სათანადო ფინანსური რესურსი, რომელიც მიემარება პროგრამის მდგრადობის შენარჩუნებაზე, პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაზე, მათ შორის აუცილებელი რესურსების შევსებაზე, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაზე და სხვ. პროგრამის ბიუჯეტით დასტურდება, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია, თუმცა სასურველია, გადაიხედოს როგორც კვლევითი კომპონენტის ხარჯი, ისე პროგრამის სახელმძღვანელოების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხები, აღნიშნული კი პროგრამის ბიუჯეტის დონეზე დაკონკრეტდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. ფაკულტეტის ბიუჯეტი; 2. პროგრამის ბიუჯეტი; 3. ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტი დეტალურად და მკაფიოდ ასახავდეს კონკრეტულ აქტივობებს, ხოლო დეფიციტურობისას - მისი აღმოფხვრის რელევატურ ღონისძიებებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/ პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის მართვის პოლირიკა ვრცელდება როგორც მთლიანად ინსტიტუციის, ისე თითოეული ფაკულტეტის დონეზე. სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ცენტრალური ოფისი) კოორდინირებას უწევს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობას, თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კი უზრუნველყოფს უშუალოდ ფაკულტეტის დონეზე უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის პოლიტიკის იმპლემენტაციას, თანამშრომლობს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან, სამუშაო ჯგუფებთან და სხვ. ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი), რომლის თანახმად, ხარისხი არის ობიექტის (მაგ., საქმიანობა, პროცესი, გაწეული მომსახურება, სხვ.) მახასიათებლების შესაბამისობის დონე დადგენილ მოთხოვნებთან. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ორიენტირებულია ISO 9000 სერიის სტანდარტებთან და ESG-2015-ს სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. სისტემის განვითარება ხდება ხარისხის მართვის პრინციპების შესაბამისად, ე.წ. PDCA ციკლის მიხედვით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები, ისე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განვითარება და შეფასება რეგულირდება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი) დოკუმენტით - „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“, რომელიც ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს, ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს და პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში შეფასების კრიტერიუმებს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმით, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი მიზნები და ამოცანები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), შესრულების ვადა (პერიოდი), საჭირო რესურსები და შესრულების ინდიკატორები. სამოქმედო გეგმის პირველ მიზანს წარმოადგენს „სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა“. ამ მიზნის მისაღწევად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსახორციელებლ ერთ-ერთ აქტივობას მიეკუთვნება ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის განათლების სფეროში მოქმედ რეგულაციებისა და სტანდარტების გაცნობა, რაც განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრების ფორმატში თვითშეფასების სამუშაო ჯგუფთან (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი), რომელიც შეიქმნა ფაკულტეტზე აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის მოდიფიცირებისა და თვითშეფასების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით.

შექმნილ სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, პროგრამის სტუდენტი და კურსდამთავრებული, ასევე დამსაქმებელი - ერთ-ერთი დარგობრივი ორგანისაციის დამფუძნებელი. სამუშაო პროცესში ჯგუფმა მოახდინა პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელის მხარეების იდენტიფიცირება, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლა და ა.შ. სამუშაო ჯგუფს, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშისა და მტკიცებულებების მომზადების პროცესში, კონსულტაციას უწევდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ინტერვიუს ფორმატში სამუშაო ჯგუფის წვრებმა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა და პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტეს, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა:

- მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან პროგრამისა და მისი კომპონენტების შესაბამისობა
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობა;
- პროგრამის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა (განისაზღვრა პროგრამის თითოეული შედეგეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები, მათი მონაწილეობის დონე (საფუძვლების შექმნა, გაღრმავება, განმტკიცება);
- პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება სასწავლო კურსების მიხედვით და პროგრამის დაძლევის მაჩვენებელი;
- ადამიანური რესურსის (პროგრამის კომპონენტების სპეციფიკის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე განმახორციელებელი პერსონალის) საკმარისობა;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებები;
- ანალოგიური პროგრამები და შრომის ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები;
- გარე შეფასების შედეგები და პროგრამის გამორციელების უკვე არსებული გამოცდილება.

თვითშეფასების პროცესში გამოყენებულ იქნა საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის მიზნებისთვის შექმნილი დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“, რომელშიც თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვრა როგორც ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები, ისე დაგეგმილი სამიზნე ნიშბულები და შეფასების გრაფიკი (სემესტრები).

ინტერვიუს ფორმატში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა დეტალურად ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცირებისა და შეფასების ეტაპებზე, შესწავლილ პრაქტიკებზე და გარე შეფასების შედეგებზე, გამოწვევებზე და მიგნებებზე. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს ამ პროცესებში როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი და მნიშვნელობა, ისე უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის აქტიური ჩართულობა და მისგან მიღებული მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ ასევე, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადასტურდა მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების/შეფასების პროცესში და მათი მხრიდან პროგრამის დადებითი შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აქვს რელევანტური თეორიული საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სისტემის მდგრადობას. აღნიშნული დასტურდება უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით;
- არსებობს ხარისხის მართვის სისტემის განვითარების მზაობა, ხედვა და ამ მიმართულებით უკვე გადადგმული ნაბიჯები, რაზეც ინტერვიუს ფორმატში ისაუბრა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ცენტრალური ოფისი და ფაკულტეტის სამსახური) აქტიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის მოდიფიცირების და თვითშეფასების პროცესის მხარდაჭერაში,

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კონსულტირებაში და ინფორმირებაში; ▪ პროგრამის მოდიფიცირების და შეფასების პროცესი იყო კომპლექსური და თანამშრომლობითი: პროცესი განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, მათ შორის ფუნქციების განაწილების გზით, მოქმედი წესების შესაბამისად, გამჭვერვალედ და კომპლექსურად; იყო უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმირება, პროგრამის განხორციელებით უკვე მიღებული გამოცდილების და გარე შეფასების გათვალისწინება და სხვ.. ▪ გარემოებები, რომლებზეც საუბარი იყო ინტერვიუს დროს, დოკუმენტურად დასტურდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი); 2. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი); 3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სამწლიანი სამუშაო გეგმა 2021-2023წ.წ. (დამატებით წარმოდგენილი); 4. პროგრამის კურიკულუმის დანართები: პროგრამის სწავლის შედეგი; პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; 5. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ურთიერთობები“ სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; 6. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შექმნილი დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“; 7. დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების კვლევის (გამოკითხვის) ანგარიშები; 8. ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში პროგრამის ხარისხის გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს აკრედიტაციის პროცესი და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ასეთი გარე შეფასება განხორციელდა 2012 წელს, რა დროსაც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) 2012 წლის 29 სექტემბრის №542 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. აკრედიტაციის საბჭოს სხდომის (№14, 28.09.2012) თანახმად, განხილილულ იქნა რამდენიმე რეკომენდაცია, საიდანაც დღეისათვის ნაწილმა დაკარგა თავისი აქტუალობა კანონმდებლობაში

შესული ცვლილებების გამო, ნაწილი კი იყო გაზიარებული და შესრულებული პროგრამის განხორციელების და მოდიფიცირების პროცესში, მაგალითად, შეიცვალა „PR და მედიაურთიერთობების“ სასწავლო კურსის სილაბუსი, სასწავლო კურსების სილაბუსები შეივსო დამხმარე და სავალდებულო ლიტერატურით, მოდიფიცირდა სასწავლო კურსების სილაბუსები, მათ შორის შემცირდა საკონტაქტო და გაიზარდა დამოუკიდებელი საათები, განახლდა და შეივსო სავავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი, პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად გათვალისწინებულია საბაკალავრო პრაქტიკა, გაფორმდა ახალი მემორანდუმები, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და ა.შ. (აქვე დავზენთ, რომ საბჭოს სხდომის ოქმში ყველა დაფიქსირებული რეკომენდაცია ატარებდა სასურველობის ხასიათს და არ არსებობდა მათი შესრულების ვალდებულება).

მოდიფიცირებული პროგრამის გარე შეფასება განახორციელეს როგორც საქართველოს, ისე უხოეთის სპეციალისტებმა (დადებითი შეფასებები დასტურდება მიღებული ოფიციალური წერილებით). ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამას, ასევე, დადებითი გამოხმაურება ჰქონდა დარგის სხვა სპეციალისტების მხრიდან, თუმცა ეს პოზიცია ზეპირსიტყვიერად იყო დაფიქსირებული, რის გამო არ აისახა არც თვითშეფასების ანგარიშში და არც მის თანდართულ დოკუმენტებში. ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ და დადებითად აფასებენ პროგრამას და ისაუბრეს მის აქტუალობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. გარე შეფასებების (უკუკავშირის) ამსახველი მასალა;
2. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია, რომ საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციებისა და უსდ-ს, ასევე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით მიერ პრორამის გარე შეფასება განხორციელდეს გარკვეული პერიოდულობით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობის შენარჩუნებას და განვითარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

–

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შეფასების პროცესს არეგულირებს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი). ასევე, გამოიყენება პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე აკრედიტაციაზე წერდგენილი პროგრამის მიზნებისთვის შემუშავებული

„სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“.

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია, რომელიც ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსის (მათ შორის, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის) საკმარისობას, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსს, პროგრამის განხორციელების პროცესს და ა.შ. კომისიის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე ფაკულტეტის სტუდენტი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმით, რომელშიც განსაზღვრულია მიზნები და ამოცანები, ასევე მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), შესრულების ვადა (პერიოდი), საჭირო რესურსები და შესრულების ინდიკატორები.

პროგრამის შეფასების მექანიზმებში მოიაზრება პროგრამის შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი კრიტერიუმებით, პროგრამის შეფასება სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით, პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება (სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის ათვისების შედეგების შედარება), აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასება და სხვ.

ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება კითხვარების მეშვეობით დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის სტუდენტები, განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა, რაც დასტურდება როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე გასაუბრების შედეგებით. ჩატარებული გამოკითხვებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული კითხვები, მაგალითად:

- დამსაქმებელთა გამოკითხვა (6 რესპოდენტი) - გარკვეულ კითხვებს ბადებს შემდეგი გარემოებები: 1) სხვადასხვა დასმულ კითხვაზე დამსაქმებლების მიერ გაცემულია ეთნაირი პასუხები - ან მხოლოდ 100% - „კი“ ან მხოლოდ 100% - „არა“ მაშინ, როდესაც თითოეული შეკითხვის შემთხვევაში არსებობს პასუხის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი; 2) პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, გამოკითხვა ჩატარდა პროგრამის მოდიციცირებამდე. შესაბამისად, გაუგებარია მოდიფიცირებამდე მოქმედი პროგრამით დამსაქმებელთა 100%-ანი კმაყოფილების შემთხვევაში რამ გამოიწვია ამ პროგრამის მოდიფიცირების საჭიროება (ცხადია, არ იგოლისხმევა კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოყვანის საჭიროება); 3) თუ დამსაქნებელთა 100%-ის მიერ დადასტურდა, რომ „პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს“; „პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას“; „პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას“, მაშინ რატომ გაუჩნდად ამავე დამსაქმებლებს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფის მიზნით?
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა - გარკვეულ კითხვებს ბადებს შემდეგი გარემოებები: 1) რამდენარ რელევანტურია 2021 წელს პროგრამის მოდიფიცირების მიზნით იმ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომლებმაც პროგრამით სწავლა დაასრულეს 2005, 2012, 2014, 2014, 2016 (6 გამოკითხულიდან ასეთი არის 5) და რა აზრი დევს მათთვის დასმულ კითხვებში (*მაგ., „შეაფასეთ, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნას რამდენად იყენებთ პრაქტიკაში“*), რადგან წლების განმავლობაში პროგრამაში ეტაპობრივად შედიოდა გარკვეული ცვლილებები და 2020 წელს უკვე იყო სხვა მოცემულობა, რომელიც განასხვავებდა მაგ., 2005 -2016 წლებში მოქმედ და 2020 წელს მოქმედ პროგრამებს.

სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი:

1. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - ექსპერტებთან გასაუბრების დროს პროგრამის

განმახორციელებელი პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განმარტეს, რომ პროგრამის შეფასება მოიცავდა მეცადინეობების ხარისხის შემოწმებას და გამოკითხვებს (რაც დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა). ინტერვიუს დროს ექსპერტებს განემარტათ, რომ პროგრამის შეფასების პროცესი არის სისტემატური, მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება, რაც ასევე არის მითითებული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა უკვე რამდენიმე წელი ხორციელდება (აკრედიტებულია 29.09.2012-დან) და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების თანახმად ექვემდებარება პერიოდულ შეფასებას, ვიზიტის დროს მეტი სიცხადისთვის დაწესებულებას ეთხოვა ექსპერტთა ჯგუფისთვის დამატებით წარმოედგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული „საზოგადოებასთან ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამის შეფასებ(ებ)ის ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი. ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა მხოლოდ 2013 და 2014 წლის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშები, რომლთა შევსებას და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენას ავალდებულებდა იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა. მომდებნო 2015-2020 წლებში პროგრამის შეფასების ფაქტი არ დასტურდება შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დაადასტურებს როგორც პროგრამის განხორციელების პერიოდში შეფასებების სისტემატურად ჩატარებას, ისე გამოყენებული მექანიზმების რელევანტურობას და საერთოდ ამ მექანიზმებისა და პროცედურების გამოყენების ფაქტს.

2. პროგრამის პერიოდული დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით - ინტერვიუს ფორმატში პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამების დადარების შედეგები იყო გათვალისწინებული პროგრამაში. უცხოეთის პროგრამებთან დადარების დასადასტურებლად წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართი „ანალიზის დოკუმენტი, ბაკალავრიატი“, რომელიც წარმოადგენს შემდეგი ინფორმაციის შემცველ მოკლე ანოტაციებს: უცხოეთის უსდ-ს დასახელება (მაგ., „რიჩმონდი“/Richmond University, სუფოლკის უნივერსიტეტი/Suffolk University's), უსდ-ს დაარსების წელი, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის შედეგები, პროგრამის კომპონენტები, სწავლის საფასური. წარმოდგენილი დოკუმენტით არ დგინდება ამ პროგრამებთან დადარების შედეგები და პროგრამის მიზნებისთვის გათვალისწინებული ასპექტები (მაგ., პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა, შინაარსი და/ან სხვ.) როგორც მთლიანად პროგრამის, ისე მისი კომპონენტების დონეზე. ასევე, არ დგინდება რამდენად აქტუალური და თანამედროვე ტენდენციების გაზიარების თვალსაზრისით გამოსადეგარია ამ დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია, რადგან დოკუმენტი დათარიშებული არ არის, ხოლო მითითებული ინფორმაცია კი რიგ შემთხვევაში მოძველებულია - მაგ., მითითებულია, რომ „საქართველოში 30 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა“, ხოლო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერზე არსებული ინფორმაციით ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა დღეისათვის 55 შეადგენს.

ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ

<u>დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია #1:</u> „პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ჩატარებული დადარების შედეგებით უნდა დგინდებოდეს რა და რატომ იყო ან არ იყო გაზიარებული პროგრამის მიზნებისთვის და რა გავლენა მოახდინა მიღებულმა შედეგებმა პროგრამის განვითარება-სრულყოფაზე“.

ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია: <u>„პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა“</u> (იხ. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტან-

დარტები“, 5.3. კომპონენტი, შეფასების მე-6 კრიტერიუმი), რასაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის მე-8 დანართში წარმოდგენილი დოკუმენტი „ანალიზის დოკუმენტი, ბაკალავრიატი“, რომელიც წარმოადგენს მოკლე ანოტაციებს: უცხოეთის უსდ-ს დასახელება (მაგ., „რიჩმონდი“/Richmond University, სუფოლკის უნივერსიტეტი/Suffolk University's), უსდ-ს დაარსების წელი, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის შედეგები, პროგრამის კომპონენტები, სწავლის საფასური. მითითებულ დოკუმენტში შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება რა გაითვალისწინა დაწესებულებამ „პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების პოზიცია გაზიარებული არ არის და რეკომენდაცია დარჩა უცვლელად.

<u>დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია #2:</u> „უნივერსიტეტში დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგები უნდა იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, რომლის მეშვეობით იქნება შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.“.

ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ რეკომენდაციაში საუბარია არა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე, არამედ მთლიანად პროგრამის შეფასებაზე, რაც პროგრამის სწავლის შედეგების გარდა სხვა ასპექტებსაც მოიცავს (მაგ., პროგრამის რესურსები, პროგრამის განხორციელების ხარისხი და სხვა, რაც თავად დაწესებულების მიერ არის განსაზღვრული). ამ მიზნით ეთხოვა დაწესებულებას დამატებითი ინფორმაციის გამოგზავნა, რის შემდეგ დაწესებულებამ წარუდგინა ექსპერტებს 2013 და 2014 წლის ანგარიშები. ხოლო მომდებვნო 2015-2020 წლებში პროგრამის შეფასების ფაქტი არ დასტურდება შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დადასტურდებოდა სრული შესაფამისობა სტანდარტის შეფასებისთვის დადგენილ ისეთ კრიტერიუმებთან, როგორიცაა: 1) „პროგრამის მონიტორინგი და <u>პერიოდული შეფასება</u> ხორციელდება ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით“ და 2) „მონიტორინგისა და პროგრამის <u>შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების</u> გამოყენებით პროგრამის ეფექტიანობის შეფასება“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და რეკომენდაცია დარჩა უცვლელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
2. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ურთიერთობები“ სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
3. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შექმნილი დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სამწლიანი სამუშაო გეგმა 2021-2023წ.წ. (დამატებით წარმოდგენილი);
5. 2013 და 2014 წლების თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები (დამატებით წარმოდგენილი);
6. სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროგრამის პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვების დოკუმენტები;
7. „ანალიზის დოკუმენტი, ბაკალავრიატი“;
8. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ჩატარებული დადარების შედეგებით უნდა დგინდებოდეს რა და რატომ იყო ან არ იყო გაზიარებული პროგრამის მიზნებისთვის და რა გავლენა მოახდინა მიღებულმა შედეგებმა პროგრამის განვითარება-სრულყოფაზე;
2. უნივერსიტეტში დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგები უნდა იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით,

რომლის მეშვეობით იქნება შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება გამოკითხვის მიზნებისა და პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

„საზოგადოებასთან ურთიერთობები“, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი - თამარ გვიანიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი - ნატალია თვალჭრელიძე

სახელი, გვარი - ნატო ასათიანი

სახელი, გვარი - ირაკლი ნოდია